საქართველოს მთავრობის

დადგენილება №55

2022 წლის 7 თებერვალი

ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-19 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებამდე სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს განხილვაში არსებული შესაბამისი საქმისწარმოებები დასრულდეს ამ დადგენილების ამოქმედებამდე მოქმედი ვადების შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**